

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №40
2017 წლის 27 დეკემბერი

ქ. ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მინუციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 დეკემბრის N27 დადგენილება (www.matsne.gov.ge; 30/12/2016; სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.117.016309);

ბ) „ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის N42 დადგენილება (www.matsne.gov.ge; 30/12/2016; სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.172.016156).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ვაჩაძე

დანართი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი

თავი I

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	7865.0	140.0	7725.0
გადასახადები	475.0	0	475.0
გრანტები	6941.5	140.0	6801.5
სხვა შემოსავლები	448.5	0	448.5
ხარჯები	5999.4	140.0	5859.4



შრომის ანაზღაურება	1760.8	58.7	1702.1
საქონელი და მომსახურება	796.2	14.7	781.5
სუბსიდიები	2809.6	66.6	2743.0
გრანტები	0	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	535.0	0	535.0
სხვა ხარჯები	97.8	0	97.8
საოპერაციო სალდო	1865.6	0	1865.6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1763.0	0	1763.0
ზრდა	1813.0	0	1813.0
კლება	50.0	0	50.0
მთლიანი სალდო	102,6	0	102,6
ფინანსური აქტივების ცვლილება	0	0	0
ვალუტა და დეპოზიტები	0	0	0
ზრდა	0	0	0
კლება	0	0	0
ვალდებულებების ცვლილება	-102.6	0	-102.6
კლება	102.6	0	102.6
ბალანსი	0	0	0

მუხლი 2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	7915.0	140.0	7775.0
შემოსავლები	7865.0	140.0	7725.0
არაფინანსური აქტივების კლება	50.0	0	50.0
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0
გადასახდელები	0	0	0



ხარჯები	5999.4	140.0	5859.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	1813.0	0	1813.0
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0
ვალდებულებების კლება	102.6	0	102.6
ნაშთის ცვლილება	0	0	0

მუხლი 3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 7865.0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2018 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	7865.0	140.0	7725.0
გადასახადები	475.0	0	475.0
გრანტები	6941.5	140.0	6801.5
სხვა შემოსავლები	448.5	0	448.5

მუხლი 4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 475.0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	კოდი	2018 წლის გეგმა		
			მათ შორის	
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	475.0	0	475.0
საშემოსავლო გადასახადი	11111	75.0	0	75.0
ქონების გადასახადი	113	400.0	0	400.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	396.5	0	396.5
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	0	0	0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	0	0	0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	1.5	0	1.5
ფიზიკურ პირებიდან	1131141	0.7	0	0.7



იურიდიული პირებიდან	1131142	0.8	0	0.8
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	2.0	0	2.0
ფიზიკური პირებიდან	1131151	0.8	0	0.8
იურიდიულ პირებიდან	1131152	1.2	0	1.2

მუხლი 5. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 6941.5 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	კოდი	სულ	2018	
			მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	6941.5	140.0	6801.5
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული ქრანტები	131	0	0	0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	6941.5	140.0	6801.5
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	6941.5	140.0	6801.5
გათანაბრებითი ტრანსფერი		6801.5	0	6801.5
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		140.0	140.0	0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		0	0	0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	0	0	0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		0	0	0

მუხლი 6. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 448.5 ათასი ლარის ოდენობით.

		2018 წლის გეგმა	
		მათ შორის	



დასახელება	კოდი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	14	448.5	0	448.5
შემოსავლები საკუთრებიდან	141	358.0	0	358.0
პროცენტები	1411	40.0	0	40.0
რენტა	1415	318.0	0	318.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	318.0	0	318.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	0	0	0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	47.5	0	47.5
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	26.0	0	26.0
სანებართვო მოსაკრებელი	14223	5.0	0	5.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის	142214	21.0	0	21.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	21.5	0	21.5
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	21.5	0	21.5
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	29.0	0	29.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	14.0	0	14.0

მუხლი 7. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები
განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5999,4 ლარის ოდენობით

დასახელება	2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	5999,4	140,0	5859.4
შრომის ანაზღაურება	1760.8	58,7	1702.1
საქონელი და მომსახურება	796.2	14,7	781.5
სუბსიდიები	2809.6	66,6	2743.0
გრანტები	0	0	0
სოციალური ზრუნველყოფა	535.0	0	535,0



სხვა ხარჯები	97.8	0	97.8

მუხლი 8. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 1763,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1763.0	0	1763.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	1813.0	0	1813.0
არაფინანსური აქტივების კლება	50,0	0	50,0

მუხლი 9. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2217.4	0	2217.4
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2217.4	0	2217.4
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2177.4	0	2177.4
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	40.0	0	40,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0	0	0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0	0	0
702	თავდაცვა	73,4	73,4	0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0	0	0



7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0	0	0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0	0	0
704	ეკონომიკური საქმიანობა	1418.0	0	1418.0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მონადირეობა	0	0	0
7045	ტრანსპორტი	883.0	0	883.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	713.0	0	713.0
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	170,0	0	170,0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	535.0	0	535.0
705	გარემოს დაცვა	751.8	0	751.8
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	651.8	0	651.8
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	100.0	0	100,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	545.2	0	545.2
7064	გარე განათება	115.0	0	115.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	430.2	0	430.2
707	ჯანმრთელობის დაცვა	316,6	66,6	250,0
7072	ამბულატორიული მომსახურება	250,0	0	250,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	66,6	66,6	0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1310.0	0	1310.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	568.5	0	568.5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	669.7	0	669.7
7083	ტელერადიომუწეებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	0	0	0
7084	რელიგიური და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობა	71,8	0	71,8
709	განათლება	860.0	0	860,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	750.0	0	750,0
7092	ზოგადი განათლება	110,0	0	110,0
710	სოციალური დაცვა	320,0	0	320,0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	12,0	0	12,0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	16,5	0	16,5



7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	113,0	0	113,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	50,0	0	50,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	128,5	0	128,5
	სულ	7812,4	140,0	7672,4

მუხლი 10. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო
განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 102,6 ათასი ლარის ოდენობით

მუხლი 11. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება
განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0 ლარის ოდენობით.

მუხლი 12. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება
განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 102,6 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი **40,0** ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 140,0 ათასი ლარი.

მ/შორის:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 66.6 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 73.4 ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება.



1.1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და შემდგომი გაუმჯობესება. ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისათვის დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, ტრანსპორტი (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში 2018 წელს დაგეგმილია სასოფლო გზების მოვლა-შენახვის ღონისძიებები, სასოფლო გზებზე ბეტონის სანიაღვრე არხების და საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები, რეგიონალური დაფინანსების ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება. მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისა და მგზავრთა გადაყვანის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით შეძენილი იქნება 3 ერთეული სამგზავრო ავტობუსი .

2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვასა და მის ექსპლოატაციასთან და განახლებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის საკანალიზაციო სისტემის და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია – მოწყობა. კეთილმოწყობა და მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა.

2.2.1. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

მოხდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გარე-განათების ელექტროენერგიის ღირებულების დაფინანსება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობა.

2.2.2. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

რეგულარულად განხორციელდება მიუსაფარი ძალების თავშესაფარში გადაყვანის და თოვლწმენდის ღონისძიებები, აგრეთვე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული თვითმცლელი ნაგავმზიდის ტექნიკური მომსახურებისა და შესაბამისი ნაწილებით უზრუნველყოფა. განხორციელდება ნაგვის ბუნკერების შესყიდვა.

2.2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 02 03)

ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სოფ. მეორე ტოლაში (გომიშურზე) სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, ქალაქ ამბროლაურში ახალგაზრდებისათვის თავშეყრის ადგილი (საბილიარდო), სოფ. ძირაგელში აშენდება თავშეყრის ადგილი, ამავე შენობაში განთავსდება ამბულატორია. სოფელ სადმელში მოხდება სტადიონის და ფანჯატურის რეაბილიტაცია, სოფელ მეორე ტოლაში ბიბლიოთეკის და ამბულატორიის რეაბილიტაციის სამუშაოები, ქ. ამბროლაურში საცურაო აუზის რეაბილიტაციის, მცირე ზომის სკვერის მოწყობის, აგრეთვე ადმინისტრაციული შენობის ფართის რეაბილიტაციის სამუშაოები.

2.2.4. სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 02 04)

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში (სხვადასხვა ადგილას) განხორციელდება რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა.

2.2.5. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლებში, სხვადასხვა ადგილას არსებული წყალსადენების რეაბილიტაცია.

2018 წელს, რეგიონალური დაფინანსების ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების



მონაწილეობით განხორციელდება სხვადასხვა ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები.

2.2.6. რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექ.ზედამხედველობის დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ტექნიკური ზედამხედველობის და საპროექტო სამუშაოების აგრეთვე რეგიონალური დაფინანსების ფარგლებში სხვადასხვა პროექტების ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება.

2.3. ა(ა)ი.პ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური (პროგრამული კოდი 03 07)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების გატანის, ხეების მოჭრის, სანიაღვრე არხების გაწმენდის, ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლების, დასუფთავებასთან დაკავშირებული მოსაკრებლების ამოღების, ჯარიმების ადმინისტრირების, სასაფლაოების მოვლა-შენახვის, გამწვანების, გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციისა და მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.

2.4. ა.ა)ი.პ პროექტირებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-შენახვის ცენტრი (პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წყალსადენი მილებისა და წყალსაქაჩი ობიექტების მოვლა-შენახვის ღონისძიებები.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარჯების დაფინანსება. აგრეთვე დაფინანსდება სკოლისგარეშე განათლება.

3.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება (პროგრამული კოდი 04 01)

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, სადაც ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებას იღებს 315-მდე აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღის სხვა მიმდინარე ხარჯებს.

3.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02)

მოსწავლე-ახალგაზრდობის ზოგადი განათლების გაღრმავების მიზნით დაფინანსებულია სკოლისგარეშე აღმზრდელობითი ღონისძიების პროგრამა. პროგრამაში ჩართულია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის 100-მდე მოსწავლე. პროგრამაში გათვალისწინებულია, მოსწავლეთა მოთხოვნის შესაბამისად კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები, როგორცაა თეატრალური, ლიტერატურის, აგრეთვე ბავშვთა მომზადება შემდეგ წრეებში: ზოგადი უნარ-ჩვევების, მათემატიკური, კომპიუტერული, რუსული, ინგლისური, გერმანული.

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამის მიზანია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ამასთანავე, მისი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, სპორტის პოპულარიზაციასა და სპორტული პირობების შექმნა განვითარებას, რათა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების განვითარება და გამოვლენა.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სექციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მოსწავლე-ახალგაზრდობას ჰქონდეთ შესაძლებლობა სპორტული ვარჯიშის განხორციელებისა თანამედროვე სპორტულ დარბაზებსა და მოედნებზე.

2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული მეცადინეობები და შეჯიბრი შემდეგ სახეობებში:

- კალათბურთი
- ჭიდაობა
- ჭადრაკი
- მაგიდის ჩოგბურთი
- რაგბი
- შიდოკან კარატე
- ცურვა
- ფეხბურთი

დაფინანსდება პროგრამით გაწერილი ყველა სპორტული ღონისძიება და ხარჯები.

4.1.1. ა.(ა)ი.პ ამბროლაურის კომპლექსური სასპორტო სკოლის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტულ სახეობათა სწავლების, სპორტსმენების სამეჯიბრო მივლინების ხარჯების, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისა და შეჯიბრებების დაფინანსება შემენილი იქნება სპორტული ინვენტარი. ქვეპროგრამა განხორციელდება ა.(ა)ი.პ. ამბროლაურის კომპლექსური სასპორტო სკოლის სუბსიდირების გზით.

4.1.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ჭიდაობის განვითარების დაფინანსება, სადაც შედის მწვრთნელთა ხელფასები, სატურნირო მივლინების ხარჯები. ქვეპროგრამა განხორციელდება ა.(ა)ი.პ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანის სუბსიდირების გზით.

4.1.3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ამბროლაურის საცურაო აუზის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ცურვის განვითარების დაფინანსება, სადაც შედის ა.(ა)ი.პ. ამბროლაურის საცურაო აუზის თანამშრომელთა ხელფასები და ხარჯები, ქვეპროგრამა განხორციელდება სუბსიდირების გზით.

4.1.4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ რაჭას ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ფეხბურთის განვითარების დაფინანსება, სადაც შედის ა.(ა)ი.პ-ს თანამშრომელთა ხელფასები და ხარჯები, ქვეპროგრამა განხორციელდება სუბსიდირების გზით.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული გაგრძელების პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება კულტურული ღონისძიებები კერძოდ: სადღესასწაულო, გასართობი და სანახაობითი.



4.2.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ამბროლაურის კულტურის ცენტრის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული გაგრძელების პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება კულტურული ღონისძიებები კერძოდ: სადღესასწაულო, გასართობი და სანახაობითი.

2018 წლის განმავლობაში დაფინანსდება

- კულტურის სახლთან არსებული თეატრი და ანსამბლები;
- ბიბლიოთეკები;
- სახვითი ხელოვნების მუზეუმი;

4.2.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლის“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

მუნიციპალიტეტში 2018 წელს გაგრძელდება ახალგაზრდების კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)ი.პ. „დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“, სადაც სწავლობს 125-მდე მოსწავლე. სკოლის დაფინანსება ხდება როგორც ბიუჯეტიდან ასევე მშობელთა შემონატანით. ქვეპროგრამა ხორციელდება სუბსიდირების გზით.

4.2.3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სკოლისგარეშე სახელოვნებო საადმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

მუნიციპალიტეტში 2018 წელს გაგრძელდება ახალგაზრდების კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)ი.პ. სკოლისგარეშე სახელოვნებო საადმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა, სადაც სწავლობს 58 მოსწავლე. სკოლის დაფინანსება ხდება როგორც ბიუჯეტიდან ასევე მშობელთა შემონატანით. ქვეპროგრამა ხორციელდება სუბსიდირების გზით.

4.2.4. გაზეთის მომსახურების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში კვლავ გაგრძელდება საგამომცემლო მომსახურების შესყიდვა, მუნიციპალიტეტში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური, კულტურული, სპორტული და მოსახლეობისათვის აქტუალური ინფორმაციების გასაშუქებლად.

4.2.5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ტურისტული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 05)

მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებისა და რეგიონში არსებული კულტურულ-ისტორიული და ბუნებრივ ძეგლთა პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა და ფინანსდება ა(ა)იპ ტურისტული ცენტრი, რომლის ძირითადი ფუნქციაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის მდგრადი განვითარება, ტურიზმის განვითარების საფუძველზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, მიმზიდველი ტურისტული გარემოს შექმნა ადგილობრივი კულტურული, ეთნოგრაფიული, ეკო-სისტემისა და ბუნებრივი ღირშესანიშნაობების შენარჩუნებით, ტურისტების მოზიდვა, ადგილობრივი ტურიზმის განვითარება, შიდა და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ადგილის დამკვიდრება.

4.3. ახალგაზრდული და საზოგადოებრივი ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდათაობის მეტ ჩართულობას ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

4.3.1. კულტურის ღონისძიებები. (პროგრამული კოდი 05 03 01)



4.3.1.1. პროგრამა გულისხმობს მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების ღირსეულად წარმოჩენას, მათ ხელშეწყობას და მათი პროექტების მეშვეობით კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, ღვაწლმოსილი ხელოვანების სათანადოდ დაფასებასა და მათი შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას, სახელმწიფო და სახალხო სადღესასწაულო ღონისძიებების აღნიშვნას ტრადიციების შენარჩუნების გათვალისწინებით და მოსახლეობისა და ტურისტებისათვის სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემოს შექმნას, რაც დღესასწაულების ფარგლებში სხვადასხვა ჟანრის ღონისძიებების განხორციელებითაა შესაძლებელი.

4.3.1.2. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: მომავალ თაობებში წიგნის კითხვის სურვილის გაღვივება, წიგნიერების დონის ამაღლება.

4.3.1.3. საბიბლიოთეკო ცხოვრების და წიგნიერების პოპულარიზაცია.

4.3.1.3. ნიჭიერი ადამიანების, ბავშვების და ახალგაზრდების შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენა და საზოგადოებისთვის გაცნობა.

4.3.1.4. მოეწყობა სახალხო ღონისძიება (ფოლკლორული ფესტივალი) „ფუძეობა“, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია, კულტურული, გასართობ-შემეცნებითი ღონისძიების გამართვა, ლიტერატურულ – შემოქმედებითი საღამოს მოწყობა, დამსვენებელთა და ადგილობრივი საზოგადოების კონსოლიდაცია. მოეწყობა ახალი წლისა და 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

4.3.1.5. მოხდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსწავლე ახალგაზრდობის სამგზავრო გადაყვანის ხელშეწყობა, რომლის მიზანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის ქ. ამბროლაურში არსებული სახელოვნებო და სპორტული დაწესებულებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

4.3.2. ახალგაზრდული ღონისძიებათა დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03 02) აღნიშნული ქვეპროგრამა გულისხმობს:

4.3.2.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა სახის ღონისძიება.

4.3.2.2. პროგრამის მიზანია, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიამ ხელი შეუწყოს ამბროლაურის ახალგაზრდობას აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის მასშტაბით გამართულ ღონისძიებებში, ასევე დაეხმაროს ადგილობრივ დონეზე მათ ორგანიზებაში.

4.3.2.3. პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია დაფინანსდეს:

4.3.2.3.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის და 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისთვის, მუნიციპალიტეტის გარეთ, ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე მიწვევა (პირის/პირთა ჯგუფის ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურება).

4.3.2.3.2. სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილე გუნდებისთვის სპორტული ფორმების შეძენა და გამარჯვებულთა დაჯილდოება.

4.3.2.3.3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის და 29 წლამდე ახალგაზრდებისთვის კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობა.

4.3.2.3.4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის და 29 წლამდე ახალგაზრდების სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა.

4.3.2.4. ადმინისტრირება და კონტროლი

4.3.2.4.1. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ღონისძიების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და თანხის მიზნობრივად ხარჯვას აკონტროლებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურთან ერთად.

4.3.2.4.2. პროექტის ორგანიზებასა და მისი მიმდინარეობის კონტროლს ახორციელებს, ასევე მარათონის მარშრუტს და კილომეტრაჟს განსაზღვრავს სამსახური.



4.3.2.4.3. აღნიშნულ მარათონში გარბენის შედეგების მიხედვით გამარჯვებულის სახით გამოვლინდება და ფულადი პრიზით 100 (ასი) ლარი დაჯილდოვდება რვა პირი – პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული ორივე სქესის წარმომადგენელი, ასევე მარათონის მონაწილეთაგან უზუცესი და ნორჩი მონაწილე. მარათონის ყველა მონაწილეს საჩუქრად გადაეცემა სიგელი და საიმჯო მაისური.

4.3.2.5. პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.3.2.6. შეფასების კრიტერიუმები

ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა სახის ღონისძიებების მოწყობა და ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია და ფიზიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა.

4.3.2.7. პროგრამის დაფინანსების წყაროა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

4.3.3. საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების ღონისძიება (პროგრამული კოდი 05 03 03)

4.3.3.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი, ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ, მიანიჭებს „ამბროლაურის საპატიო მოქალაქის“ წოდებას.

4.3.3.2. „ამბროლაურის საპატიო მოქალაქის“ წოდება შეიძლება მიენიჭოს როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნის სრულწლოვან მოქალაქეს, განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, პროფესიისა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებისა, რელიგიური მრწამსისა, თუ მის მიერ საჯაროდ გამოთქმული შეხედულებები არ ეწინააღმდეგება ქვეყნის ერთიანობას და სუვერენიტეტს, საზოგადოდ აღიარებულ ეთიკურ ნორმებს და ზნეობრივ პრინციპებს.

4.3.3.3. „ამბროლაურის საპატიო მოქალაქის“ წოდების ჩამორთმევა დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე წყვეტს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

4.3.3.4. ამბროლაურის საპატიო მოქალაქის წოდების მისაღებად კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს:

4.3.3.4.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის არანაკლებ 1%-ს;

4.3.3.4.2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს;

4.3.3.4.3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებულ ორგანიზაციებს და საინიციატივო ჯგუფებს;

4.3.3.4.4. გასული წლის საპატიო მოქალაქეს.

4.3.3.5. „ამბროლაურის საპატიო მოქალაქის“ წოდების მინიჭება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, მეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურთან, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად განიხილავს წარმოდგენილ კანდიდატურებს.

4.3.3.5.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი „ამბროლაურის საპატიო მოქალაქის“ წოდებას მიანიჭებს არაუმეტეს 5 ადამიანს.

4.3.3.5.2. პიროვნებას, რომელიც მიიღებს „ამბროლაურის საპატიო მოქალაქის“ წოდებას, გადაეცემა სიგელი და ჯილდო.

4.3.3.6. „ამბროლაურის საპატიო მოქალაქის“ წოდების მქონე პირს უფლება აქვს:

4.3.3.6.1. მონაწილეობა მიიღოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში და მოწვეულ საპატიო სტუმრებთან შეხვედრებში.

4.3.3.6.2. წარადგინოს „ამბროლაურის საპატიო მოქალაქის“ კანდიდატი.

4.3.3.7. პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.



4.3.3.8. შეფასების კრიტერიუმები

სამოქალაქო საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლებისა და დამსახურებული ადამიანებისადმი მადლიერების გამოხატვა, მათი ღვაწლის დაფასება.

4.3.3.9. პროგრამის დაფინანსების წყაროა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

4.3.4. წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების ღონისძიებები განათლების სფეროში (პროგრამული კოდი 05 03 04)

4.3.4.1. პროგრამის სფერო და მიზანი

4.3.4.1.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის (შემდეგ ტექსტში „სამსახური“) ინიციატივით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში წესდება ჯილდოები და წოდებები. პროგრამის ფარგლებში განათლების სფეროს წარმომადგენლებს მიენიჭებათ საპატიო წოდებები და გადაეცემათ ფულადი ჯილდოები, ასევე სოციალურად დაუცველ სტუდენტებს (პირველ კურსელებს) დაუფინანსდებათ უმაღლესი განათლების მიღება.

4.3.4.1.2. პროგრამის მიზანია აღნიშნული სფეროს წარმომადგენლების შრომითი ნაყოფიერების, პროდუქტიულობისა და მოტივაციის ამაღლება, ასევე ნიჭიერი ახალგაზრდების სწავლა-განათლების ხელშეწყობა.

4.3.4.2. წოდებები და ჯილდოები

4.3.4.2.1. „წლის საუკეთესო აღმზრდელი“- ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების არაუმეტეს 3 აღმზრდელს.

აღმზრდელთა გამოვლენა მოხდება ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში შექმნილი კომისიის მიერ. კომისიაში წარმოდგენილი უნდა იყოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო და სამსახური.

4.3.4.2.2. „წლის საუკეთესო პედაგოგი“ – ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საჯარო სკოლების არაუმეტეს 3 პედაგოგს. პედაგოგთა გამოვლენა მოხდება ამბროლაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრში შექმნილი კომისიის მიერ. კომისიაში წარმოდგენილი უნდა იყოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო და სამსახური.

4.3.4.2.3. საჯარო სკოლების კურსდამთავრებულებს, რომლებმაც სკოლა დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედალზე – (კურსდამთავრებულების შესახებ ინფორმაცია, ამბროლაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ, მიეწოდება სამსახურს) გადაეცემათ ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით – ოქროს მედალოსანს, ხოლო 200 (ორასი) ლარის ოდენობით – ვერცხლის მედალოსანს.

4.3.4.2.4. საჯარო სკოლების ოთხ სოციალურად დაუცველ, წარჩინებულ მოსწავლეს – გადაეცემა პორტატული კომპიუტერები, რომლებიც შეირჩევიან V-XI კლასის სოციალურად დაუცველ (100001 ქულამდე) მოსწავლეთაგან, საუკეთესო აკადემიური მოსწრებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. ინფორმაციის დამუშავებასა და კანდიდატების გამოვლენას უზრუნველყოფს სამსახური.

4.3.4.2.5. საჯარო სკოლის კურსდამთავრებულს, რომელმაც მიმდინარე წელს დაამთავრა სკოლა და წარმატებით, ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები (მოიპოვა გრანტი 100 %) – გადაეცემა ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

4.3.4.2.6. სოციალურად დაუცველი (65001 ქულამდე) პირველკურსელი, რომელმაც მიმდინარე სასწავლო წელს დაამთავრა საჯარო სკოლა – დაფინანსდება არაუმეტეს 2000 (ორიათასი) ლარით.

4.3.5. წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების ღონისძიებები კულტურისა და სპორტის სფეროში (პროგრამული კოდი 05 03 05)



პროგრამის მიზანია კულტურისა და სპორტის სფეროს წარმომადგენლების შრომითი ნაყოფიერების, პროდუქტიულობისა და მოტივაციის ამაღლება.

4.3.5.1. „კულტურის საუკეთესო მოღვაწე“ – ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნულ წოდებას მიიღებს კულტურის სფეროს მოღვაწე, რომელსაც გამოავლენს სამსახური, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენელთა ჩართულობით.

4.3.5.2. „წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარი“ – აღნიშნული წოდება მიენიჭება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ბიბლიოთეკების თანამშრომელს, რომლის გამოვლენა მოხდება ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში შექმნილი კომისიის მიერ. კომისიაში წარმოდგენილი უნდა იყოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო და სამსახური. გამოვლენილ ბიბლიოთეკარს გადაეცემა სიგელი და ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

4.3.5.3. „წლის საუკეთესო მკითხველი“ – ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება საჯარო და საბავშვო ბიბლიოთეკის თითო ყველაზე აქტიურ მკითხველს. მონაცემებს შეისწავლის სამსახური.

4.3.5.4. „წლის საუკეთესო სპორტსმენი“ – ფულადი ჯილდო ინდივიდუალურ სახეობაში 500 (ხუთასი) ლარი.

4.3.5.5. „წლის საუკეთესო ნაკრები“ – გუნდურ სახეობაში საუკეთესო შედეგების მქონე გუნდს გადაეცემა ფულადი ჯილდო 1000 (ერთათასი) ლარის ოდენობით. ინდივიდუალურ და გუნდურ სახეობებში კანდიდატს გამოავლენს სამსახური, სპორტული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. სპორტსმენი, რომელიც ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირიდან მიწვეულია საქართველოს ნაკრებში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიისგან მიიღებს პრემიას ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ, 1000 (ერთათასი) ლარის ოდენობით.

4.3.5.6 „წლის საუკეთესო მწვრთნელი“ – ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირში მოღვაწე მწვრთნელს, რომელსაც გამოავლენს სამსახური, ა(ა)იპ-ების დირექტორების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან.

4.3.5.7. „ახალგაზრდა ხელოვანი“ – ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის აღსაზრდელს, რომელსაც გამოავლენს სამსახური, ა(ა)იპ-ების დირექტორების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან.

4.3.5.8. „წლის საუკეთესო მედიკოსი“ – ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოღვაწე ექიმს და ექთანს, რომლებიც გამოვლინდებიან შესაბამის ჯანდაცვის დაწესებულებებში ჩატარებული ფარული კენჭისყრის საშუალებით. კენჭისყრის ჩატარებას უზრუნველყოფს სამსახური.

4.3.5.9. პროგრამის დაფინანსების წყაროა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

4.3.5.10. პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.3.6. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსწავლეების ბანაკში დასვენების მუნიციპალური პროგრამა (პროგრამული კოდი 05 03 06)

4.3.6.1. პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სტიმულირება, ხელშეწყობა და მათი ადაპტირება საზოგადოებაში. მათ მიეცემა საშუალება გამოვლინონ საკუთარი ნიჭი, შესაძლებლობები, შეხედულებები ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ და იყვნენ მეტად ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჩამოყალიბდნენ აქტიურ მოქალაქეებად და გამოიჩინონ ინიციატივა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის პროცესში, რადგან ახალგაზრდობაა ის ძალა, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მომავალს და უზრუნველყოფს მის განვითარებას.

4.3.6.2 პროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი წარჩინებული მოსწავლეები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 100 001-ს და



2017–2018 სასწავლო წელს დაამთავრეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასი, 10 (ათი) დღით გაემგზავრებიან ახალგაზრდულ ბანაკში აქტიური დასვენებისთვის.

4.3.6.3 პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან.

4.3.7. ქვეპროგრამა: „უანგარო მზრუნველის“ წოდების მინიჭების შესახებ (პროგრამული კოდი 05 03 07)

4.3.7.1. პროგრამის სფერო და მიზანი:

4.3.7.1.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი, ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ, მიაწოდებს „უანგარო მზრუნველის“ წოდებას.

4.3.7.1.2. „უანგარო მზრუნველის“ წოდების მინიჭება შესაძლებელია ქვეყნის მოქალაქეობის, ასაკობრივი და სხვა შეზღუდვების გარეშე.

4.3.7.2. პროგრამის მიზანია საზოგადოებაში წახალისებულ იქნას მუნიციპალიტეტისთვის სასარგებლო საქმიანობა, ასევე ნებისმიერი ქმედება, რომელიც ამბროლაურზე ზრუნვისაგან შეიძლება იყოს განპირობებული. პროგრამის არსი მდგომარეობს დევიზში: „ჩემი პასუხისმგებლობაა არა მხოლოდ ის, რასაც ვაკეთებ, არამედ ისიც, რისი გავლენაც შემემლო და არ გავაკეთე“.

4.3.7.3. „უანგარო მზრუნველის“ კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს:

4.3.7.3.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის არანაკლებ 1%-ს;

4.3.7.3.2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს;

4.3.7.3.3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებულ ორგანიზაციებს და საინიციატივო ჯგუფებს;

4.3.7.4. „უანგარო მზრუნველის“ წოდების მინიჭება

4.3.7.4.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურთან, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად განიხილავს წარმოდგენილ კანდიდატურებს.

4.3.7.4.2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი „უანგარო მზრუნველის“ წოდებას მიაწოდებს არაუმეტეს 3 ადამიანს.

4.3.7.4.3. პიროვნებას, რომელსაც მიენიჭება „უანგარო მზრუნველის“ წოდება, გადაეცემა სიგელი და ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

4.3.8. პროგრამის მოქმედების ვადა

პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.3.9. პროგრამის ადმინისტრირება და კონტროლი

პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

სამსახური იღებს პასუხისმგებლობას პროცესი წარმართოს გამჭვირვალედ, ობიექტურად და მიუკერძოებლად.

4.3.10. შეფასების კრიტერიუმები

მუნიციპალიტეტისთვის სასარგებლო საქმიანობის წახალისება. საზოგადოების ინსპირირება ისეთი ქმედებებისკენ, რაც დადებითად შეიძლება აისახოს მუნიციპალიტეტის ყოფიერებაზე.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)



მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძნობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯამრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

5.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯამრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსებას, კერძოდ:

5.1.1. გადამდებ-არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება.

5.1.2. ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორებზე მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან.

